სექტორის მიმოხილვა

სოფლის მეურნეობის სექტორი 2024 წელს

2024 წლის ივნისში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამოსცა წლიური პუბლიკაცია სოფლის მეურნეობის სექტორის შესახებ – *„საქართველოს სოფლის მეურნეობა 2023“*. პუბლიკაციის თანახმად, სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის და მეთევზეობის გამოშვებამ 2023 წელს მშპ-ის 6.9% შეადგინა, რაც 2022 წლის მაჩვენებელზე მცირედით ნაკლებია, თუმცა შეესაბამება გასული წლების ზოგად ტენდენციას (სოფლის მეურნეობის მშპ მთლიანი მშპ-ის 7-8%-ს შეადგენდა). გარდა ამისა, 2022 წელთან შედარებით, სოფლის მეურნეობის სექტორის მშპ 2022 წელს 2.9%-ით შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ მშპ შემცირდა, ერთწლოვანი კულტურების წარმოება გაიზარდა. ყველაზე მეტად გაიზარდა ლობიოს წარმოება (2022 წელთან შედარებით – 28%-ით). ბოსტნეულის წარმოება 11%-ით გაიზარდა, მრავალწლოვანი კულტურების – 10%-ით. ამავდროულად გაიზარდა მარცვლეულის (6%) და ერთწლიანი ბალახების (2%) წარმოება. შემცირდა საზამთროს (37%), მზესუმზირის (7%) და კარტოფილის წარმოება (1%).





წყარო: საქსტატი, 2023

რაც შეეხება მრავალწლოვან კულტურებს, ყველაზე მეტად კენკრის წარმოების წლიური მაჩვენებელი გაიზარდა (35%), შემდეგ მოდის კურკოვანი ხილის (18%), თესლოვანი თხილის (5%) და სუბტროპიკული ხილის (5%) წარმოების ზრდა. ამავდროულად, თესლოვანი ხილის წარმოება 32%-ით შემცირდა, ყურძნის – 23%-ით, კურკოვანი ხილის კი – 11%-ით. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ დაფიქსირებულა.





წყარო: საქსტატი, 2023

ხორბლის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2023 წელს 2021 წელს არსებული 15%-დან 22%-მდე გაიზარდა. 2022 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად, 28%-ით გაიზარდა ყურძნის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტიც. თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტის ყველაზე დიდი კლება კარტოფილისა (14%) და სიმინდის (9%) შემთხვევაში დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ პროდუქტების უმეტესობის შემთხვევაში, თვითკმარობის კოეფიციენტი უმნიშვნელოდ, 2-3%-ით შემცირდა.



წყარო: საქსტატი, 2023

ფასების მიმოხილვა

ადგილობრივი ფასები

2024 წლის მარტიდან მაისამდე ქვეყანაში ფასები თვიურ ჭრილში იზრდებოდა. სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) 2024 წლის მარტში თებერვალთან შედარებით არ შეცვლილა. ფასების ზრდის მაჩვენებელი აპრილში 0.3% იყო, მაისში კი – 0.4%.

2024 წლის მარტიდან მაისამდე ქვეყანაში სურსათის ფასების ინდექსით (FPI) განსაზღვრული საკვების და არაალკოჰოლური სასმელების ფასები მცირედით გაიზარდა. მარტს და აპრილში ფასები წინა თვესთან შედარებით არ შეცვლილა. მაისში კი სამომხმარებლო ფასები წინა თვესთან შედარებით 0.4%-ით გაიზარდა.





წყარო: საქსტატი, 2024. შენიშვნა: წინა თვის ინდექსის მაჩვენებელი 100 იყო

2024 წლის მარტ-მაისის პერიოდში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) წლიურ ჭრილში იზრდებოდა. ამ წლის მარტში, CPI 2023 წლის მარტთან შედარებით 0.5%-ით გაიზარდა; შესაბამისად, აპრილისა და მაისის თვეებისთ-ვის ცვლილების მაჩვენებლები 1.5% და 2.0%-ს შეადგენდა.

2024 წლის მაისში სურსათის და არაალკოჰოლური სასმელების ფასების წლიური მაჩვენებელი 0.7%-ით გაიზარდა, რაც CPI-ის ზრდის მთლიანი მაჩვენებლის 0.22%-ს შეადგენს. ძირითადად, შემდეგ ქვეჯგუფებში შემავალი პროდუქტები გაძვირდა:

სამომხმარებლო ფასებისა და სურსათის ფასების ინდექსების წლიური ცვლილება



ხილი და ყურძენი (38.1%↗)

ბოსტნეული (4.5%↗)

მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (4.0%↗)

უფრო ვრცლად სურსათის ფასებზე: ხილი და ყურძენი

2024 წლის გაზაფხულზე ხილისა და ყურძნის ქვეკატეგორიაში შემავალი სასურსათო პროდუქტების ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2024 წლის მარტში, 2023 წლის მარტთან შედარებით, ხილისა და ყურძნის ფასები 25.7%-ით გაიზარდა, აპრილში – 37.9%-ით, მაისში კი – 38.1%-ით.

საქსტატის ინფორმაციით, 2024 წლის მაისში ხილისა და ყურძნის კატეგორიაში შემავალი თითქმის ყველა პროდუქტის ფასი გაიზარდა. ყველაზე მეტად გაძვირდა ატამი (66%), ვაშლი (65%), ქლიავი (57%), მსხალი (32%), ყურძენი (27%); 2023 წლის მაისში შესაბამისი წლიური ინფლაციის მაჩვენებლები ჩამოთვლილი თითოეული პროდუქტის შემთხვევაში უარყოფითი იყო.

2024 წელს ხილისა და ყურძნის ფასების ზრდა შესაძლოა რამდენიმე მიზეზით იყოს განპირობებული. უპირველეს ყოვლისა, სეტყვა და გვალვა, რამაც გამოიწვია ადგილობრივი წარმოების შემცირება. აღსანიშნავია მიწოდების ჯაჭვში არსებული შეფერხებები და წარმოების გაზრდილი ხარჯებიც, რასაც შესაძლოა ფასების ზრდა გამოეწვია. ფასებზე ზეგავლენა შესაძლოა იქონია სავაჭრო პოლიტიკაში არსებულმა ცვლილებებმა და გლობალურმა ეკონომიკურმა ფაქტორებმაც, რამაც ხელი შეუწყო ბაზრის არასტაბილურობას.

ვაჭრობის სტატისტიკის თანახმად, 2024 წლის მარტ-მაისის პერიოდში ექსპორტირებული ვაშლის, მსხლის და კომშის ღირებულებამ 760 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 78%-ით ნაკლებია 2023 წლის იმავე პერიოდში დაფიქსირებულ მაჩვენებელზე (3.5 მლნ აშშ დოლარი).

საექსპორტო ღირებულების საგრძნობი კლება მიგვანიშ-ნებს საექსპორტო ხილის რაოდენობის შემცირებაზე, რაც სავარაუდოდ წარმოების შემცირებითაა გამოწვეული. იმავე პერიოდში, იმპორტირებული ვაშლის, მსხლის და კომშის ღირებულებამ 1.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 39%-ით მეტია წინა წლის იმავე პერიოდში დაფიქსი-რებულ მაჩვენებელზე (1.2 მლნ აშშ დოლარი). იმპორტის ღირებულების ზრდა მიანიშნებს, რომ ადგილობრივი მიწოდება არასაკმარისი აღმოჩნდა არსებული მოთხოვ-ნის დასაკმაყოფილებლად, რამაც იმპორტის ზრდა განაპირობა.

ხილის და ყურძნის ფასების წლიური ზრდა (მარტი-მაისი, 2024)



წყარო: საქსტატი, 2024.

საერთაშორისო ფასები

2024 წლის მარტიდან მაისამდე პერიოდში საერთაშორისო ბაზრებზე წლიურ ჭრილში ფასები მცირდებოდა. 2024 წლის მარტში, 2023 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სურსათის ფასების ინდექსი 7.2%-ით დაეცა. 2024 წლის აპრილსა და მაისში სურსათის ფასები შესაბამისად 7.3%-ით და 3.4%-ით შემცირდა. აღნიშნული კლება ძირითადად გამოწვეული იყო მარცვლეულის, შაქრისა და და რძის ნაწარმის ფასების ინდექსის შესამჩნევი შემცირებით. წინა წელთან შედარებით მარცვლეულის ფასების ინდექსი მარტში (20.0%) აპრილსა (18.0%) და მაისში (8.2%) შემცირდა. ხორბლის ფასების კლება უმეტესწილად ჩრდილოეთ ნახევარსფეროში მიმდინარე მოსავლის აღებით გამოწვეული სეზონური წნეხით იყო განპირობებული. მცირედით გაუმჯობესდა წარმოების პროგნოზები ისეთ მნიშვნელოვან ექსპორტიორ ქვეყნებში, როგორიცაა ყაზახეთი და უკრაინა. თურქეთის მიერ დაწესებულმა დროებითმა იმპორტის შეზღუდვამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ფასის შემცირების ტენდენციაში.



წყარო: FAO, 2024

საერთაშორისო ვაჭრობა

2024 წლის იანვარ-მაისის პერიოდში საქართველოდან განხორციელებული მთლიანი ექსპორტის ღირებულება 2,274 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, რაც საგრძნობი, 9%-იანი კლებაა გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით (2,503 მლნ აშშ დოლარი). რაც შეეხება აგრო ექსპორტს, ის მნიშვნელოვნად, 16-%-ით გაიზარდა და 2023 წელს არსებული 530 მლნ აშშ დოლარიდან 2024 წელს 617 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამავდროულად, აგრო ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში 21%-დან 27%-მდე გაიზარდა.

საქართველოდან განხორციელებული ექსპორტისგან განსხვავებით, იმპორტის მაჩვენებელი ზომიერად, 1%-ით გაიზარდა 2023 წლის იანვარ-მაისში არსებული 6,118 მლნ აშშ დოლარიდან და 2024 წელს 6,158 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აგრო იმპორტი გაიზარდა და 2023 წელს არსებული 794 მლნ აშშ დოლარიდან 2024 წელს 842 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აგრო იმპორტის წილი იმპორტის მთლიან მოცულობაში უმნიშვნელოდ, 13%-დან 14%-მდე გაიზარდა.





წყარო: საქსტატი, 2024
შენიშვნა: ექსპორტირებული და იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მოიცავს სურსათს

ტრადიციულად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ძირითადი საექსპორტო საქონელი ახალი ყურძნისგან დამზადებული ღვინო იყო. მისმა საექსპორტო ღირებულებამ 2024 წლის იანვარ-მაისის პერიოდში 141 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ეს კი სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის 23%-ს შეადგენს. სპირტიანი სასმელების ექსპორტმა 104 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ეს კი სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის 17%-ს შეადგენს. მინერალური წყლების ექსპორტმა 65 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი ექსპორტის 11%-ის ტოლია. ტკბილი სასმელების ექსპორტის ღირებულება 45 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა (7%-იანი წილი მთლიან ექსპორტში), ტყის თხილისა და სხვა თხილის ექსპორტის ღირებულება კი 32 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა (5%).



წყარო: საქსტატი, 2024
შენიშვნა: ექსპორტირებული და იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მოიცავს სურსათს

პოლიტიკის მიმოხილვა

საქართველოს მთავრობამ „შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროექტში ცვლილებები შეიტანა.

მერძეული, მეხორცული, კომბინირებული მიმართულებისა და სანაშენე ფერმის დაფინანსებისთვის წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად, ბენეფიციარს ექნება ვალდებულება უზრუნველყოს სესხის თანადაფინანსების მოქმედების პერიოდში მეხორცული მიმართულების შემთხვევაში – ერთ სულზე არანაკლებ 1 ჰა საძოვრის ან/და არანაკლებ 0,5 ჰა სახნავის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებობა. თხილის სექტორის შემთხვევაში, ერთ ბენეფიციარზე გაცემული სესხის თანხის ზედა ზღვარი გაიზარდა და განისაზღვრა 5 000 ლარიდან 300 000 ლარის ჩათვლით, თანადაფინანსების ვადა – 12 თვე, თანადაფინანსების პროცენტი – 8%. ასევე, თხილის პირველადი წარმოებისთვის მაქსიმალური სესხის მოცულობა, 1 ჰა-ზე გადაანგარიშებით, გაიზარდა და განისაზღვრა არაუმეტეს 3 000 ლარით.

მეტი ინფორმაციისთვის იხ. ბმული: https://mepa.gov.ge/En/News/Details/21630/

მთავრობის სხდომაზე საქართველოს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2024-2027 წლების სამოქმედო გეგმა დამტკიცდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2024-2027 წლების სამოქმედო გეგმა 3 ძირითად ამოცანას ისახავს მიზნად: 1) კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორების ხელშეწყობა; 2) ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია; 3) სურსათის/ცხოველის კვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტიანი სისტემების ჩამოყალიბება.

მეტი ინფორმაციისთვის იხ. ბმული: https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/21686/

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკა
ავტორები: გიორგი შავრეშიანი giorgi.shavreshiani@iset.ge
სალომე გელაშვილი s.gelashvili@iset.ge